ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-12/150641413-16

"27." 03. 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ლისის საკრებულოში (საკ. კოდი №01.14.16.007.009) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №952574 06.11.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ლისის საკრებულოში (საკ. კოდი №01.14.16.007.009) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

-3.20 ნიშნულზე „4-4" ღერძის გარეთ „ბ-ბ" ღერძზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. „ა-ა" ღერძზე „1-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია 2 კოლონა. „1^1-1^1", „4-4" და „$გ^1$-$გ^1$" ღერძებზე გათხელებულია კედლები. +9.60 ნიშნულზე სახურავზე არ არის მოწყობილი საკომუნიკაციო შახტები და +13.60 ნიშნულზე საპროექტო პარაპეტი მოწყობილია +13.30 ნიშნულზე. „4-1" ფასადის მხარეს საპროექტო ტერიტორიის შემომსაზღვრელი კაპიტალური ღობის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მავთულბადე.

„1-4" ფასადზე: -3.20 ნიშნულზე „2-2" ღერძთან კარის თავზე შესავსებია კაპიტალურად. +0.00 ნიშნულზე „1^1-1^1" ღერძზე შემცირებულია კედლის სიმაღლე 1 მ-ით, „4-1" ფასადის მხარეს არ არის მოწყობილი მისი ნაწილი და აღნიშნული კედელი შესაღებია. +8.90 ნიშნულზე „1-2" და „3-4" მონკავეთებში არ არის მოწყობილი „დეკორატიული დასაკეცი საჩრდილობლები". +12.80 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში გაუქმებულია საჩრდილობელი.

„ა-გ" ფასადზე: ცოკოლზე შესალესი და შესაღებია კედლის ნაწილი. „ბ-გ" მონაკვეთში შემცირებულია მანძილი ფრამუგებს შორის 0.15 მ-ით. +0.00 ნიშნულზე „ა-ბ" მონაკვეთში გაუქმებულია გარე კიბე და შევსებულია მოაჯირებს შორის ღია სივრცე. „გ-$გ^1$" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. +9.60 ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძთან ფრამუგის გარშემო შესაღებია კედლის ნაწილი, ხოლო „ა-ბ" მონაკვეთში კარ-ფანჯრის გარშემო გაუქმებულია დეკორატიული ლესვა (კარნიზი).

„4-1" ფასადზე: „3-2" მონაკვეთში გაზრდილია კიბის უჯრედის ვიტრაჟის სიმაღლე 1 მ-ით. „4-4" და „1-1" ღერძებთან ფანჯრები და ვიტრაჟები არ არის მოწყობილი ერთ ხაზზე. „4-3" და „2-1" მონაკვეთებში კედლები არ არის შეღებილი ერთ ტონში. აივნებზე „1-1" და „2-2" ღერძებთან ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. +12.80 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის შუბლის ფორმა.

„გ-ა" ფასადზე: +9.60 ნიშნულზე ფრამუგის გარშემო შესაღებია კედლის ნაწილი, ხოლო „ბ-ა" მონაკვეთში კარ-ფანჯრის გარშემო გაუქმებულია დეკორატიული ლესვა (კარნიზი). აღნიშნულ და „ა-გ" ფასადებზე შეცვლილია „ხის ფაქტურის ერთგვარი კონსტრუქციის" მასალა და ფაქტურა.

შეცვლილია რელიეფის დონე და დახრა (რის გამოც მოუწესრიგებელია ფასადების კედლის ნაწილები). ფასადებზე შეცვლილია კარების, ფანჯრების და ვიტრაჟების უმრავლესობის ნახატი. ასევე შეცვლილია მოაჯირების ნახატი. მოწყობილია წყალშემკრები მილები. შეცვლილია და დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ასევე გასატანია სამშენებლო მასალების ნარჩენები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "AGHABI GROUP"-ს, მოჰსენ მოურედ მატტა აბდელმალაკს ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ლისის საკრებულოში (საკ. კოდი №01.14.16.007.009) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/150641413-16 05.03.2015წ. და
№12/150641413-16 17.03.2015წ. განცხადებები.

უფროსის პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **მამუკა ჯაფელი**